ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმიN4

დაბა ქედა 16 ივლისი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისნიტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

07.07.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ;

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის მერის ინიციირება (შემოსული დოკუმენტი №58/04; 06.07.2020) „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისნიტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტში არის უზუსტობა, კერძოდ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ პროექტში ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის - დადგენილების ნაცვლად უნდა ეწეროს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი - განკარგულება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიაში არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი შენიშვნის გათვალისწინებით კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე